განმცხადებელი : შპს სფეის ლაბი
თარიღი : 04-03-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია რუსთავი 2 - ის ეთერში გავიდა ჟურნალისტების ნინო ფუტკარაძე, ტატო კახიძე და ოთო გვრიტიშვილის მომზადებული სიუჟეტი, რომელიც არარეალურ ფაქტებზე და სიცრუეზეა დამყარებული.

სადავო მასალა : სადავო მასალის სახელწოდება მდგომარეობს შემდეგში: "PCR ტესტირება ყველაზე იაფად, კუსტარულად მოწყობილ ჯიხურში - არავინ იცის სად მიაქვთ ნიმუშები პუნქტიდან, რომელსაც ყოველ დღე უამრავი ადამიანი სტუმრობს". ტელეკომპანია რუსთავი 2 -ის ეთერში 10-02-2022 21:09 გავიდა აღნიშნული სახელწოდებით. ვუთითებ სადავო მასალის ბმულს https://rustavi2.ge/ka/news/221331.

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

ჟურნალისტთა ქარტიის პირველი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. გამუქებიდან უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია.

მოგახსენებთ, რომ 10.02.2022, 21:09 საათზე ტელეკომპანია რუსთავი - 2 ის ეთერში გავიდა არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია, რომელმაც დააზარალა კომპანია "სფეის ლაბი", ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტებმა გადმოსცეს მცდარი ინფორმაცია, ვითომ ადვოკატი მირანდა შალამბერიძე არის კომპანია "სფეის ლაბის" დირექტორი. რაც გახლავთ არაზუსტი ინფორმაცია. გარდა ამისა კომპანია "სფეის ლაბს" ცილი დასწამეს და მის არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულეს ულიცენზიობის გამო, მოგეხსენებათ კომპანია ულიცენზიოდ ვერ განახორციელებს თავის საქმიანობას, აღნიშნული კომპანია ლიცენზიით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს. რუსთავი 2 -ის ჟურნალისტებმა მიაწოდეს საზოგადოებას დამახინჯებული ინფორმაცია და შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც კომპანიას ისე ადვოკატ მირანდა შალამბერიძეს. მირანდა შალამბერიძე დაასახელეს, როგორც კომპანიის დირექტორი, რაც სწორ ინფორმაციას არ შეესაბამება, ჟურნალისტმა მირანდა შალამბერიძეს წინასწარ არც კი აცნობა, რომ მიმდინარეობდა მისი საუბრის ჩაწერა, არ დაინტერესებულა თუ ვინ გახლდათ მირანდა შალამბერიძე, რას წარმოადგენდა კომპანიისთვის და რა როლს თამაშობდა ამ ეტაპზე. ჟურნალისტებისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კომპანია "სფეის ლაბის" ანტიპიარის გაკეთება და მისი რეპუტაციის შელახვა, რაც ამორალურია და არ შეესაბამება ჟურნალისტთა ქცევის ქარტიას. რაც შეეხება პრინციპების დარღვევას მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტებმა დაარღვიეს შემდეგი პრინციპები: პირველი პრინციპი გულისხმობს, რომ ჟურნალისტმა საზოგადოების მიმართ უნდა გამოიჩინოს პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმოს ფაქტები რადგან გამოაქვეყნოს სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ჟურნალისტების მიერ არმოხდა გადამოწმება და გამოაქვეყნეს სიმართლეს შეუსაბამო არარეალური, არაზუსტი და კომპანიისთვის რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია. გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტებს შეეძლოთ რეგულირების სააგენტოში გადაემოწმებინათ კომპანია ახორციელებდა თუ არა ნამდვილად ულიცენზიო საქმიანობას, იგი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. „სფეის ლაბს“ მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი, მომხმარებლებს გაუჩნდათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ არაკეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ მათ, რამაც გამოიწვია მათი უკმაყოფილება. რაც შეეხება ადვოკატ მირანდა შალამბერიძეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე ინფორმაციის გადაუმოწმებლობის და მისი როგორც კომპანია „სფეის ლაბის“ დირექტორად

გამოცხადების შემდეგ მის მიმართ ხორციელდება სხვადასხვა ტექსტური სახის მესიჯების მიღება. მას აყენებენ შეურაცხყოფას და მის კომპეტენტურობას საფრთხეში აგდებენ. ასევე, ადვოკატი მირანდა შალამბერიძის კლიენტებს შორის მოხდა გაურკვევლობა მისი პროფესიისადმი დამოკიდებულების გამო. ეს ყოველივე განაპირობა რუსთავი 2 -ის ეთერში გასულმა სიუჟეტმა და ჟურნალისტების დაუდევრობის გამო დაზარალდა უამრავი ადამიანი. ყველა ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ სადაც იწყება სხვისი უფლებები და სიტყვის თავისუფლება არ უნდა გავიგოთ აბსოლუტურ უფლებად. აღნიშნული სიუჟეტი აშკარად და დაუსაბუთებლად ლახავს სხვის უფლებებს, ეს უკანასკნელი სწორედ ასეთ სიუჟეტად უნდა მივიჩნიოთ. ჟურნალისტთა ეთიკის საბჭო აღნიშნავს, რომ „როდესაც ჟურნალისტი იკვლევს საკითხს, მფარველობს თუ არა ყოფილი ან მოქმედი მაღალჩინოსანი დამნაშავეებს, მას შეიძლება არ ჰქონდეს ოფიციალური ინფორმაცია და დაეყრდნოს კონფიდენციალურ წყაროს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, რომ ყველა ღონე იხმაროს ინფორმაციის ღია წყაროებთან გადასამოწმებლად. ხოლო თუ ვერ ხერხდება ინფორმაციის გადამოწმება, ამის შესახებ კეთილსინდისიერად უნდა აცნობოს აუდიტორიას.“ გადაწყვეტილება საქმეზე - გაგი მოსიაშვილი ზურა პეტროსიანის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე სარწმუნოა, რომ მათი მხრიდან მოხდა ჟურნალისტთა ქცევის ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევა. მოვითხოვთ დადგინდეს დაირღვა თუ არა ჟურნალისტთა ქცევის ქარტიის პირველი პრინციპი, ტელეკომპანია რუსთავი 2 -ის ჟურნალისტების მხრიდან.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები